საქართველოს მთავრობის მოხსენება
საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ

თბილისი
2024 წელი

მიმდინარე ძირითადი ეკონომიკური ტენდენციები

შესავალი

2021-2022 წლებში ქვეყანაში არსებული ეკონომიკის აღდგენის და ორნიშნა ეკონომიკური ზრდის ფონზე 2023 წლისათვის ეკონომიკური ზრდის საპროგნოზო მაჩვენებელი 5%-დან 6.5%-მდე გაიზარდა, თუმცა ფაქტობრივი მაჩვენებელი უფრო მაღალ ნიშნულზე დაფიქსირდა და წლიურმა ზრდამ 7.5% შეადგინა.

2024 წელი საკმაოდ მაღალი ეკონომიკური ზრდით დაიწყო, პირველ კვარტალში ეკონომიკურმა ზრდამ 8.4% შეადგინა, რაც როგორც საგარეო სექტორის, კერძოდ ტურიზმის ზრდით, ისე შიდა აქტივობით იყო განპირობებული. ამ პერიოდის ზრდაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ინვესტიციების ზრდამაც, რომელსაც 2022 წლიდან მუდმივად დადებითი გავლენა ქონდა ეკონომიკურ აქტივობაში. იგივე ტენდენციები გაგრძელდა მეორე კვარტლის განმავლობაშიც, როდესაც ეკონომიკურმა ზრდამ 9.6% შეადგინა და პირველ ნახევარში 9.1%-იანი ზრდა დაფიქსირდა. მიმდინარე წლის ივლისის თვეში ეკონომიკური ზრდა 13.0% იყო. ამავე პერიოდში მნიშვნელოვნად შემცირდა ინფლაციის მაჩვენებელიც და 2024 წლის იანვარ-აგვისტოს საშუალო წლიურმა ინფლაციამ 0.9% შეადგინა.

არსებული ეკონომიკური ტენდენციების გათვალისწინებით, მიმდინარე წლის სექტემბერში განახლდა მაკროეკონომიკური პროგნოზები.

განახლებული პროგნოზების საბაზისო სცენარის მიხედვით 2024 წლისათვის:

- ეკონომიკური ზრდის პროგნოზი წინა წელს დაგეგმილი 5.2%-დან, მიმდინარე წლის ივლისში 6%-მდე, ხოლო განახლებული პროგნოზით 8.2%-მდე გაიზარდა;
- მთლიანი შიდა პროდუქტის დეფლატორი 3.1%-ის ნაცვლად განისაზღვრა 3.2%-ის ოდენობით;
- მთლიანი შიდა პროდუქტის ნომინალური მაჩვენებელი თავდაპირველად დაგეგმილი 86,0 მლრდ ლარიდან, მიმდინარე წელს 87.7 მლრდ ლარამდე, ხოლო განახლებული პროგნოზით 89.6 მლრდ ლარამდე გაიზარდა, რაც რეალური ეკონომიკური ზრდით არის განპირობებული;
- ბიუჯეტის დეფიციტი კი უცვლელი დარჩა და კვლავ 2.5% შეადგინა;
- მთავრობის ვალის მაჩვენებელი 1.9 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 36.5% შეადგინა.

საბაზისო სცენარის პარალელურად მომზადებული იყო მაკროეკონომიკური პარამეტრების ოპტიმისტური და პესიმისტური სცენარები, რომლებიც დაფუძნებულია კონკრეტული რისკების მატერიალიზაციის ალბათობებზე.

თავდაპირველი პროგნოზით ოპტიმისტური სცენარი ითვალისწინებდა 7.3%-იან ეკონომიკურ ზრდას და ნეგატიური რისკების ნაკლებად მატერიალიზაციის შემთხვევაში იყო ამ მაჩვენებლის მიღწევის შესაძლებლობა. მიმდინარე გაზრდილი აქტივობების ფონზე რეალიზდა აღნიშნული სცენარი და საბაზისო პროგნოზმა უკვე 8.2% შეადგინა.

ძირითადი ეკონომიკური პარამეტრები

მთლიანი შიდა პროდუქტის დინამიკა

საქსტატის წინასწარი მონაცემებით, 2024 წლის პირველ კვარტალში რეალურმა ზრდამ 8.4 პროცენტი, ხოლო მეორე კვარტალში 9.6 პროცენტი შეადგინა. პირველი ნახევრის მონაცემებით, მშპ-ს რეალური ზრდა 9.1 პროცენტის დონეზე დაფიქსირდა.

2024 წლის პირველი ნახევრის ეკონომიკურ აქტივობაში ზრდა აღინიშნებოდა შემდეგ დარგებში: განათლება 25.0 პროცენტი, განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები 23.0 პროცენტი, პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები 14.2 პროცენტი, ტრანსპორტი და დასაწყობება 13.2 პროცენტი, სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა; სავალდებულო სოციალური უსაფრთხოება 13.1 პროცენტი, მშენებლობა 11.8 პროცენტი, ხელოვნება, გართობა და დასვენება 10.9 პროცენტი, ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები 10.2 პროცენტი. კლება დაფიქსირდა შემდეგ დარგებში: ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება 9.0 პროცენტი.

კერძო სექტორის როლი ეკონომიკურ ზრდაში

2024 წლის პირველ ნახევარში ბიზნეს სექტორის ბრუნვის მოცულობა 11.2 პროცენტით, ხოლო საწარმოთა მიერ გამოშვებული პროდუქციის ღირებულება 12.6 პროცენტით გაიზარდა. ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა გაიზარდა 32.2 ათასი ადამიანით.

ფასები

2024 წლის აგვისტოში საქართველოში ინფლაციის დონემ წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით (წლიური ინფლაცია) 1.0 პროცენტი შეადგინა. ამავე პერიოდისათვის, საშუალო ინფლაცია 0.9 პროცენტის დონეზეა.

წლიური ინფლაციის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე: ტრანსპორტის ჯგუფში ფასები გაიზარდა 7.4 პროცენტით, რაც 0.89 პროცენტული პუნქტით აისახა მთლიან ინდექსზე; ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო: ჯგუფში ფასები გაიზარდა 4.5 პროცენტით, რაც წლიურ ინფლაციაზე 0.31 პროცენტული პუნქტით აისახა; სხვადასხვა საქონელი და მომსახურება: ფასები გაიზარდა 4.7%-ით, რაც ინფლაციის მთლიან მაჩვენებელზე 0.25 პროცენტული პუნქტით აისახა; სასტუმროები, კაფეები და რესტორნები: ფასები გაიზარდა 7.3%-ით, რაც ინფლაციის მთლიან მაჩვენებელზე 0.24 პროცენტული პუნქტით აისახა; საცხოვრებელი, წყალი, ელ.ენერგია, აირი: ჯგუფში ფასები შემცირებულია 2.6 პროცენტით, რაც წლიურ ინდექსზე -0.21 პროცენტული პუნქტით აისახა.

საგარეო სექტორი

2024 წლის იანვარ-აგვისტოში საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 14 700.8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე 3.0 პროცენტით მეტია; აქედან ექსპორტი 4 173.9 მლნ აშშ დოლარს შეადგენს (2.5 პროცენტით მეტი), ხოლო იმპორტი 10 526.9 მლნ აშშ დოლარს (3.3 პროცენტით მეტი). საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 2024 წლის იანვარ-აგვისტოში 6 353.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც საგარეო სავაჭრო ბრუნვის 43.2 პროცენტია.

საქართველოს უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორებს შორის პირველი ადგილი ევროკავშირს უკავია, რომლის წილი 2024 წლის იანვარ-აგვისტოს მთლიანი საქონელბრუნვის 20.6 პროცენტს შეადგენს. მას მოსდევს თურქეთი 14.2 პროცენტი, რუსეთი 11.1 პროცენტი და აშშ 8.7 პროცენტული წილებით.

ექსპორტში 17.9 პროცენტით პირველ ადგილზე ყირგიზეთია (745.5 მლნ აშშ დოლარი), შემდეგ მოდიან ყაზახეთი 12.9 პროცენტით (538.2 მლნ აშშ დოლარი), აზერბაიჯანი 11.4 პროცენტით (476.0 მლნ აშშ დოლარი), რუსეთი 11.2 პროცენტით (468.9 მლნ აშშ დოლარი) და სომხეთი 9.9 პროცენტით (411.9 მლნ აშშ დოლარი).

იმპორტში პირველი ადგილი ევროკავშირს უჭირავს 26.4 პროცენტით (2 380.9 მლნ აშშ დოლარი), შემდეგ მოდიან თურქეთი 16.7 პროცენტით (1 761.8 მლნ აშშ დოლარი), აშშ 11.3 პროცენტით (1 186.4 მლნ აშშ დოლარი), რუსეთი 11.1 პროცენტით (1 167.3 მლნ აშშ დოლარი), ჩინეთი 9.8 პროცენტით (1 032.7 მლნ აშშ დოლარი) და ა.შ.

სასაქონლო ჯგუფების მიხედვით ექსპორტში პირველ ადგილზე მსუბუქი ავტომობილებია 35.4 პროცენტით, მომდევნო ადგილებს იკავებენ: ფეროშენადნობები 5.3 პროცენტი, ყურძნის ნატურალური ღვინოები 4.7 პროცენტი, სპირტიანი სასმელები 4.5 პროცენტი და ძვირფასი ლითონების მადნები და კონცენტრატები 3.5 პროცენტი.

იმპორტის სასაქონლო სტრუქტურაში პირველ ადგილზე მსუბუქი ავტომობილებია, რომელსაც მთლიან იმპორტში 18.8 პროცენტიანი წილი უკავია. შემდეგ მოდიან: ნავთობი და ნავთობპროდუქტები 8.4 პროცენტი, სამკურნალო საშუალებები 4.0 პროცენტი, ნავთობის აირები 2.5 პროცენტი და გამომთვლელი მანქანები და მათი ბლოკები 2.0 პროცენტი.

ფულადი გზავნილები

2024 წლის იანვარ-აგვისტოში წმინდა ფულადი გზავნილები წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 26.8 პროცენტით შემცირდა და 2 004.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (732.3 მლნ აშშ დოლარით ნაკლები). წმინდა ფულადი გზავნილები შემცირდა რუსეთიდან 69.1 პროცენტით და 381.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (851.9 მლნ აშშ დოლარით ნაკლები); წმინდა ფულადი გზავნილები გაზრდილია: აშშ-დან - 29.3 პროცენტით და 358.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (81.2 მლნ აშშ დოლარით მეტი), იტალიიდან - 8.2 პროცენტით და 363.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (27.4 მლნ აშშ დოლარით მეტი), გერმანიიდან - 16.8 პროცენტით და 163.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (23.6 მლნ აშშ დოლარით მეტი), საბერძნეთიდან - 6.6 პროცენტით და 158.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (9.8 მლნ აშშ დოლარით მეტი).

ტურიზმი

2024 წლის პირველ ნახევარში, საქართველოს 3 021.1 ათასი საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტორი ეწვია (2023 წლის ექვსი თვის მონაცემებით, ვიზიტორების რაოდენობა 2 860.1 ათასს შეადგენდა), რაც გასული წლის ანალოგიურ მონაცემზე 5.6 პროცენტით მეტია. 2024 წლის პირველი ნახევრის ვიზიტორების რაოდენობა 2019 წლის შესაბამისი პერიოდის ვიზიტორების რაოდენობასთან შედარებით აღდგენილია 78.2 პროცენტით (წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია).

2024 წლის პირველ ნახევარში, ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავლებმა 1 898.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 5.2 პროცენტით (93.9 მლნ აშშ დოლარით მეტი) მეტია გასული წლის მაჩვენებელზე. 2024 წლის პირველი ნახევრის ტურიზმიდან შემოსავლები 2019 წლის შესაბამისი პერიოდის ტურიზმიდან შემოსავლებთან შედარებით აღდგენილია 130.4 პროცენტით (წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი).

ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების ანალიზი
(2024 წლის იანვარი-აგვისტო)

2024 წლის იანვარ-აგვისტოში შემოსავლების სახით ნაერთ ბიუჯეტში მობილიზებულია 16 895.0 მლნ ლარი, რაც წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის 69.2 პროცენტს შეადგენს. ხოლო გადასახადების ფაქტიური მაჩვენებელი წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის 68.8 პროცენტია. 2024 წლის იანვარ-აგვისტოს ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების შესრულების მაჩვენებლები მოცემულია შემდეგ ცხრილში:

მლნ ლარი

დასახელება	2024 წლის გეგმა	2024 წლის 8 თვის ფაქტი	შესრულება %
შემოსავლები	**24,398.0**	**16,895.0**	**69.2%**
გადასახადები	22,053.0	15,172.7	68.8%
გრანტები	400.0	202.2	50.5%
სხვა შემოსავლები	1,945.0	1,520.1	78.2%

მიმდინარე საგადასახადო შემოსავლების ანალიზი

2024 წლის იანვარ-აგვისტოში ნაერთ ბიუჯეტში გადასახადების სახით მობილიზებულია 15 172.7 მლნ ლარი, რაც წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 18.9 პროცენტით (2 412.4 მლნ ლარით) მეტია.

2023-2024 წწ იანვარ-აგვისტოს გადასახადების ფაქტიური მაჩვენებლები

მლნ ლარი



- **საშემოსავლო გადასახადის** წლიური საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 6 900.0 მლნ ლარს. 8 თვის მდგომარეობით მობილიზებულია 4 804.4 მლნ ლარი, რაც წლიური პროგნოზის 69.6%, ხოლო 9 თვის პროგნოზის 92.9%-ია.
- **მოგების გადასახადის** საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 2 690.0 მლნ ლარს. 8 თვის მდგომარეობით მობილიზებულია 2 178.6 მლნ ლარი, რაც წლიური პროგნოზის 81.0%, ხოლო 9 თვის პროგნოზის 97.3%-ია.
- **დღგ-ს** საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 9 121.4 მლნ ლარს. 8 თვის მდგომარეობით მობილიზებულია 6 045.3 მლნ ლარი, რაც წლიური პროგნოზის 66.3%, ხოლო 9 თვის პროგნოზის 90.9%-ია.
- **აქციზის** საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 2 375.0 მლნ ლარს. 8 თვის მდგომარეობით მობილიზებულია 1 604.2 მლნ ლარი, რაც წლიური პროგნოზის 67.5%, ხოლო 9 თვის პროგნოზის 95.6%-ია.
- **იმპორტის გადასახადის** საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 150.0 მლნ ლარს. 8 თვის მდგომარეობით მობილიზებულია 92.3 მლნ ლარი, რაც წლიური პროგნოზის 61.5%, ხოლო 9 თვის პროგნოზის 83.1%-ია.
- **ქონების გადასახადის** გეგმა შეადგენს 650.0 მლნ ლარს. 8 თვის მდგომარეობით მობილიზებულია 537.3 მლნ ლარი, რაც წლიური პროგნოზის 82.7%, ხოლო 9 თვის პროგნოზის 106.9%-ია.
- **სხვა გადასახადების** გეგმა შეადგენს 166.6 მლნ ლარს. 8 თვის შესრულების მაჩვენებელია -89.4 მლნ ლარს. სხვა გადასახადების უარყოფითი მაჩვენებელი გამოწვეულია ზედმეტად გადახდილი თანხების დაბრუნების ტემპით, კერძოდ 8 თვის მდგომარეობით გადამხდელებისთვის დაბრუნებული თანხა შეადგენს 1 619.8 მლნ ლარს.

ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების დინამიკა,
იანვარ-აგვისტო 2021-2024წწ.

მლნ ლარი



- **არაფინანსური აქტივების კლების (პრივატიზაცია)** სახით მისაღები შემოსავლის წლიური საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 400.0 მლნ ლარით, საიდანაც 8 თვის მდგომარეობით მობილიზებულია 255.2 მლნ ლარი, რაც წლიური პროგნოზის 63.8%-ს შეადგენს.

- **ფინანსური აქტივების კლების (სესხების დაბრუნება)** წლიური საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 270.0 მლნ ლარის ოდენობით; მიმდინარე წლის 8 თვის მდგომარეობით შესრულებამ 210.4 მლნ ლარი შეადგინა, რაც წლიური პროგნოზის 77.9%-ს შეადგენს.

საქართველოს 2024 წლის 8 თვის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების შესრულება

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები დაგეგმილია 24 569.5 მლნ ლარის ოდენობით. 8 თვის განმავლობაში მობილიზებულია 16 680.4 მლნ ლარი, რაც წლიური გეგმის 67.9%, ხოლო 9 თვის გეგმის 93.3%-ია.

2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 20 731.0 მლნ ლარით. საანგარიშო პერიოდში მობილიზებული იქნა 14 301.6 მლნ ლარი, ანუ წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის 69.0%, ხოლო 9 თვის პროგნოზის 92.6%-ია.

2024 წლის 8 თვის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების შესრულების მაჩვენებლები

მლნ ლარი

დასახელება	2024 წლის გეგმა	8 თვის ფაქტი	+/-	%
შემოსავლები	**20,731.0**	**14,301.6**	**-6,429.4**	**69.0%**
გადასახადები	19,115.0	13,083.7	-6,031.3	68.4%
გრანტები	266.0	194.9	-71.1	73.3%
სხვა შემოსავლები	1 350.0	1 023.0	-327.0	75.8%

2024 წლის **გადასახადების** საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 19 115.0 მლნ ლარით. საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 13 083.7 მლნ ლარი, ანუ წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის 68.4%.

2024 წლის 8 თვის სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების შესრულების მაჩვენებლები

მლნ ლარი

დასახელება	2024 წლის გეგმა	8 თვის ფაქტი	+/-	%
გადასახადები	**19,115.0**	**13,083.7**	**-6,031.3**	**68.4%**
საშემოსავლო გადასახადი	6,345.1	4,401.2	-1,943.8	69.4%
მოგების გადასახადი	2,690.0	2,178.6	-511.4	81.0%
დამატებული ღირებულების გადასახადი	7,388.3	4,896.7	-2,491.7	66.3%
აქციზი	2,375.0	1,604.2	-770.8	67.5%
იმპორტის გადასახადი	150.0	92.3	-57.7	61.5%
სხვა გადასახადი	166.6	-89.4	-256.0	-53.6%

გრანტების 2024 წლის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 266.0 მლნ ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 194.9 მლნ ლარი, ანუ წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის 73.3%. მათ შორის:

- *ბიუჯეტის მხარდამჭერი გრანტები 61.6 მლნ.ლარი;*
- *საინვესტიციო გრანტები 14.6 მლნ.ლარი;*
- *სსიპ - ებიდან მიღებული გრანტები 69.6 მლნ.ლარი;*
- *მიზნობრივი გრანტები 49.1 მლნ.ლარი;*

სხვა შემოსავლების წლიური საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 350.0 მლნ ლარის ოდენობით, მობილიზებულ იქნა 1 023.0 მლნ ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 75.8%.

სხვა შემოსავლების შესრულების მაჩვენებლები

მლნ ლარი

დასახელება	2024 წლის გეგმა	8 თვის ფაქტი	+/-	%
სხვა შემოსავლები	**1,350.0**	**1,023.0**	**-327.0**	**75.8**
შემოსავლები საკუთრებიდან	**826.2**	**597.9**	**-228.3**	**72.4**
პროცენტები	280.0	224.7	-55.3	80.2
დივიდენდები	516.2	353.0	-163.2	68.4
რენტა	30.0	20.3	-9.7	67.7
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	**93.8**	**98.3**	**4.5**	**104.8**
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	**89.8**	**95.0**	**5.2**	**105.8**
სალიცენზიო მოსაკრებლები	0.3	0.4	0.1	125.3
სანებართვო მოსაკრებლები	60.0	67.3	7.3	112.1
სარეგისტრაციო მოსაკრებლები	2.5	1.4	-1.1	57.2
სახელმწიფო ბაჟი	24.0	20.1	-3.9	83.7
საკონსულო მოსაკრებელი	1.7	1.1	-0.6	67.5
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	0.5	4.1	3.6	821.6
სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	0.8	0.6	-0.2	69.7
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	**4.0**	**3.3**	**-0.7**	**82.9**
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	4.0	3.3	-0.7	82.9
სანქციები (ჯარიმები და საურავები)	**150.0**	**119.6**	**-30.4**	**79.7**
ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	**280.0**	**207.2**	**-72.8**	**74.0**

არაფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულია 99.7 მლნ ლარი, რაც წლიური საპროგნოზო მაჩვენებელის (200.0 მლნ ლარი) 49.8%-ია. აღსანიშნავია, რომ პრივატიზაციდან მიღებული შემოსავლები სახელმწიფო ბიუჯეტში ირიცხება კვარტლის ბოლო კვირაში, შესაბამისად 8 თვის მონაცემები რეალურად ასახავს 6 თვის მაჩვენებელს და მესამე კვარტალში მობილიზებული თანხა ჩაირიცხება სექტემბრის ბოლოს;

ფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულია 268.0 მლნ ლარი, რაც წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის (300.0 მლნ ლარი) 89.3%-ია, ხოლო 9 თვის პროგნოზის 99.3%-ია.

ვალდებულებების ზრდის სახით ჯამში დაგეგმილია 3 338.5 მლნ ლარის მიღება. 8 თვეში მობილიზებულია 2 011.2 მლნ ლარი, რაც წლიური გეგმის 60.2%, ხოლო 9 თვის გეგმის 94.8%-ია. მათ შორის:

- ✓ **საშინაო ფასიანი ქაღალდების** გამოშვებით დაგეგმილია 1 500.0 მლნ ლარის მობილიზება. 8 თვის მდგომარეობით მობილიზებულია 822.9 მლნ ლარი რაც წლიური გეგმის 54.9%, ხოლო 9 თვის გეგმის 77.9%-ია;
- ✓ **საინვესტიციო პროექტების ათვისება** დაგეგმილია 1 388.5 მლნ ლარის ოდენობით, საიდანაც 8 თვეში ათვისებულია 860.9 მლნ ლარი, რაც წლიური გეგმის 64.6%, ხოლო 9 თვის გეგმის 114.9%-ია;
- ✓ **ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტების** სახით დაგეგმილი 450.0 მლნ ლარიდან მიღებულია 327.4 მლნ ლარი, რაც წლიური გეგმის 72.8%.

ამასთან, ვალდებულების კლების მაჩვენებელი (ვალის მომსახურება და დაფარვა) დაიგეგმა 1 423,4 მლნ ლარის ოდენობით, რომლის ფაქტიურმა შესრულებამ 8 თვეში შეადგინა 807,1 მლნ ლარი, რაც დაგეგმილი მაჩვენებლის 56,7%-ია. შესაბამისად ვალდებულებების წმინდა ზრდამ 1 204,1 მლნ ლარი შეადგინა.

2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების 8 თვის შესრულება

„საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები განისაზღვრა 25 030.4 მლნ ლარით, ხოლო 8 თვის საკასო შესრულებამ შეადგინა 16 272.3 მლნ ლარი, რაც წლიური გეგმის 65.0%-ია. მათ შორის:

2024 წლის პირველი სექტემბრის მდგომარეობით **ხარჯების** წლიური დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 19 110.8 მლნ ლარის ოდენობით, ხოლო 8 თვის საკასო შესრულებამ შეადგინა 12 775.1 მლნ ლარი, რაც წლიური გეგმის მაჩვენებლის 66.8%-ია.

2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის 8 თვის ხარჯების სტრუქტურა ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით (საკასო შესრულება)



საანგარიშო პერიოდში **ხარჯების შესრულება ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების** მიხედვით განისაზღვრა:

- ✓ **„შრომის ანაზღაურების"** მუხლი - 1 639.6 მლნ ლარით, რაც წლიური გეგმიური მაჩვენებლის (2 562.1 მლნ ლარი) 64.0%-ს, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული „ხარჯების" 12.8%-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი გადასახდელების 10.1%-ს შეადგენს.

- ✓ **„საქონელი და მომსახურების"** მუხლი - 1 449.4 მლნ ლარით, რაც წლიური გეგმის (2 256.9 მლნ ლარი) 64.2%-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების 8.9%-ს შეადგენს.

- ✓ **„პროცენტის"** მუხლი - 1 124.9 მლნ ლარით, რაც წლიური გეგმის (1 540.0 მლნ ლარი) 73.0%-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების 6.9%-ს შეადგენს.

- ✓ **„სუბსიდიების"** მუხლი - 696.1 მლნ ლარით, რაც წლიური გეგმიური მაჩვენებლის (1 062.5 მლნ ლარი) 65.5%-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების 4.3%-ს შეადგენს.

- ✓ **„გრანტების"** მუხლი - 1 016.5 მლნ ლარით, რაც წლიური გეგმიური მაჩვენებლის (1 504.1 მლნ ლარი) 67.6%-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების 6.2%-ს შეადგენს, მათ შორის:
  - ➢ ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გადასაცემი ტრანსფერების საკასო შესრულებამ შეადგინა 850.5 მლნ ლარი (მ.შ. 754.0 მლნ ლარი - კაპიტალური დანიშნულების გრანტები და 96.5 მლნ ლარი - მიმდინარე დანიშნულების გრანტები);
  - ➢ საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის და უცხო სახელმწიფოთა მთავრობებისათვის გადასაცემმა გრანტმა შეადგინა 17.4 მლნ ლარი.

- ✓ **„სოციალური უზრუნველყოფის"** მუხლი - 5 130.7 მლნ ლარით, რაც წლიური გეგმიური პარამეტრის (7 472.2 მლნ ლარი) 68.7%-ს, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული „ხარჯების" 40.2%-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების 31.5%-ს შეადგენს.

- ✓ **„სხვა ხარჯების"** მუხლი - 1 718.0 მლნ ლარის ოდენობით, რაც წლიური გეგმის (2 713.0 მლნ ლარი) 63.3%-ს, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული „ხარჯების" 13.4%-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი ასიგნებების 10.6%-ს შეადგენს. „სხვა ხარჯების" მუხლის სხვადასხვა კაპიტალური ხარჯების დასაფინანსებლად მიიმართა 450.4 მლნ ლარი, ხოლო სხვადასხვა მიმდინარე ხარჯების დასაფინანსებლად - 1 267.6 მლნ ლარი.

არაფინანსური აქტივების ზრდის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 4 188.7 მლნ ლარით, ხოლო 8 თვის საკასო შესრულებამ შეადგინა 2 525.0 მლნ ლარი, რაც წლიური გეგმის მაჩვენებლის 60.3%-ია.

ფინანსური აქტივების ზრდის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 307.6 მლნ ლარით, ხოლო 8 თვის საკასო შესრულებამ შეადგინა 165.1 მლნ ლარი, რაც წლიური გეგმის მაჩვენებლის 53.7%-ია.

ვალდებულებების კლების დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 1 423.3 მლნ ლარით, ხოლო 8 თვის საკასო შესრულებამ შეადგინა 807.1 მლნ ლარი, რაც წლიური გეგმის მაჩვენებლის 56.7%-ია.

ბიუჯეტის გადასახდელების შესრულება თვეების მიხედვით წლიურ ფაქტთან შედარებით (2020-2024 იანვარი-აგვისტო)



შენიშვნა: 2021 წელს გაზრდილი გადასახდელების მოცულობა გამოწვეული იყო საგარეო ვალდებულებების ზრდით, რაც განაპირობა ევრობონდების გადაფარვის მიზნით 2021 წელს 1.7 მილიარდი ლარის ახალი ევრობონდის გამოშვებით.

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები

მლნ ლარი

დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა	2024 წლის დაზუსტებული გეგმა (31.08.2024)	2024 წლის 8 თვის ფაქტი	სხვაობა (წლიური დაზუსტებული გეგმა-საკასო ხარჯი)	ფაქტი/ წლიური გეგმა
გადასახდელები	**25,030.4**	**16,272.3**	**8,758.1**	**65.0%**
ხარჯები	**19,110.8**	**12,775.1**	**6,335.7**	**66.8%**
შრომის ანაზღაურება	2,562.1	1,639.6	922.6	64.0%
საქონელი და მომსახურება	2,256.9	1,449.4	807.4	64.2%
პროცენტი	1,540.0	1,124.9	415.2	73.0%
სუბსიდიები	1,062.5	696.1	366.5	65.5%
გრანტები	1,504.1	1,016.5	487.6	67.6%
სოციალური უზრუნველყოფა	7,472.2	5,130.7	2,341.5	68.7%
სხვა ხარჯები	2,713.0	1,718.0	995.0	63.3%
არაფინანსური აქტივების ზრდა	**4,188.7**	**2,525.0**	**1,663.7**	**60.3%**
ფინანსური აქტივების ზრდა	**307.6**	**165.1**	**142.4**	**53.7%**
ვალდებულებების კლება	**1,423.3**	**807.1**	**616.2**	**56.7%**

სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდა **ფუნქციონალურ ჭრილში,** ძირითადი ფუნქციონალური კატეგორიების მიხედვით, შემდეგი სტრუქტურით ხასიათდება:

- ✓ **საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების** ხაზით გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 2 416.3 მლნ ლარი, რაც წლიური გეგმიური მაჩვენებლის (3 599.2 მლნ ლარი) 67.1%-ია. აღნიშნული თანხიდან 799.2 მლნ ლარი წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისა და ავტონომიური რესპუბლიკებისათვის გადაცემულ ტრანსფერებს (მ.შ. 744.9 მლნ ლარი - კაპიტალური დანიშნულების გრანტები და 54.4 მლნ ლარი - მიმდინარე დანიშნულების გრანტები);

- ✓ **თავდაცვის ღონისძიებების** დასაფინანსებლად 8 თვეში მიმართული იყო 1 057.0 მლნ ლარი, რაც წლიური გეგმიური მაჩვენებლის (1 464.2 მლნ ლარი) 72.2%-ია;

- ✓ **საზოგადოებრივი წესრიგის და უსაფრთხოების** დასაფინანსებლად 8 თვეში მიმართული იყო 1 332.3 მლნ ლარი, რაც წლიური გეგმიური მაჩვენებლის (2 099.7 მლნ ლარი) 63.5%-ია;

- ✓ **ეკონომიკური საქმიანობის ხაზით** გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 2 378.2 მლნ ლარი, ანუ წლიური გეგმიური მაჩვენებლის (3 829.0 მლნ ლარი) 62.1%-ია;

- ✓ **გარემოს დაცვის ხაზით** დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებულია 189.3 მლნ ლარის გამოყოფა, ხოლო 8 თვეში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 108.3 მლნ ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 57.2%-ია;

- ✓ **საბინაო-კომუნალური მეურნეობის დაფინანსებაზე** დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებულია 453.4 მლნ ლარის გამოყოფა, ხოლო 8 თვეში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 273.9 მლნ ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 60.4%-ია;

- ✓ **ჯანმრთელობის დაცვის ხაზით** დასაფინანსებლად 8 თვეში მიმართული იყო 1 288.4 მლნ ლარი, რაც წლიური გეგმიური მაჩვენებლის (1 768.3 მლნ ლარი) 72.9%-ია;

- ✓ **დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში** დაფინანსდა 373.5 მლნ ლარით, რაც წლიური გეგმიური მაჩვენებლის (528.5 მლნ ლარი) 70.7%-ს შეადგენს;

- ✓ **განათლების ხაზით** დასაფინანსებლად 8 თვეში მიმართული იყო 1 837.2 მლნ ლარი, რაც წლიური გეგმიური მაჩვენებლის (2 926.4 მლნ ლარი) 62.8%-ია;

- ✓ **სოციალური დაცვის ხაზით** დასაფინანსებლად 8 თვეში მიმართული იყო 4 235.1 მლნ ლარი, რაც წლიური გეგმიური მაჩვენებლის (6 441.5 მლნ ლარი) 65.7%-ია;

2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის რვა თვის
დაფინანსების სტრუქტურა ფუნქციონალურ ჭრილში (საკასო შესრულება)



წლიური საბიუჯეტო კანონის დაზუსტებული გეგმით **სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურების და დაფარვის** მიზნით განსაზღვრულია 2 955.0 მლნ ლარი, ხოლო რვა თვის საკასო შესრულებამ შეადგინა 1 923.6 მლნ ლარი, მათ შორის:

- ✓ **საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისა და დაფარვისათვის** 8 თვეში სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიიმართა 1 252.1 მლნ ლარი. აქედან, ვალების მომსახურებისათვის (პროცენტების გადახდა) გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 475.3 მლნ ლარი, ხოლო ვალების დაფარვისათვის მიიმართა 776.8 მლნ ლარი.
- ✓ **საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისა და დაფარვისათვის** 8 თვეში სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიიმართა 671.5 მლნ ლარი. აქედან, ვალების მომსახურებისათვის (პროცენტების გადახდა) გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 649.5 მლნ ლარი, ხოლო ვალების დაფარვისათვის მიიმართა 22.0 მლნ ლარი.

საქართველოს სახელმწიფო ვალი

2024 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით საქართველოს სახელმწიფო ვალის ნაშთმა მიმდინარე წლის ბოლოსთვის შეადგენს 33 527.7 მლნ ლარს, მათ შორის:

მლნ ლარი

სახელმწიფო ვალი	**33,527.7**
სახელმწიფო საგარეო ვალი	24,193.0
სახელმწიფო საშინაო ვალი	9,334.8
მთავრობის ვალი	**32,541.3**
მთავრობის საგარეო ვალი	23,162.0

სახელმწიფო ვალი	**33,527.7**
მთავრობის საშინაო ვალი	9,379.3

2024 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით სახელმწიფო ბიუჯეტიდან **ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებისათვის** გადარიცხულმა ტრანსფერებმა შეადგინა 850.5 მლნ ლარი, მათ შორის საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ასიგნებებიდან გადარიცხულ იქნა 28.1 მლნ ლარი, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ასიგნებებიდან - 10.9 მლნ ლარი, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ასიგნებებიდან - 3.6 მლნ ლარი და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ასიგნებებიდან - 1.0 მლნ ლარამდე. **ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებისათვის** გადარიცხული ტრანსფერიდან მიმდინარე ტრანსფერი შეადგენს 96.5 მლნ ლარს (მ.შ. სპეციალური ტრანსფერი - 52.1 მლნ ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი - 40.5 მლნ ლარი), ხოლო კაპიტალური ტრანსფერი - 754.0 მლნ ლარი (მ.შ. სპეციალური 384.2 მლნ ლარი).

მუნიციპალიტეტების მიერ მისაღები დამატებული ღირებულების გადასახადის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 1 733.1 მლნ ლარი, საიდანაც მიმდინარე წლის 8 თვის მდგომარეობით შესრულების მაჩვენებელი შეადგენს 1 148.6 მლნ ლარს, რაც დაგეგმილი მაჩვენებლის 66.3%-ია.

მუნიციპალიტეტების მიხედვით დაგეგმილი და ფაქტიური მოცულობები წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

/ათასი ლარი/

N	დასახელება	მუნიციპალიტეტებში 2024 წელს გასანაწილებელი დამატებული ღირებულების გადასახადი	
		2024 წლის პროგნოზი	2024 წლის 8 თვის ფაქტი
1	ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი	643 661.8	426 590.5
2	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი	62 217.2	41 234.8
3	ქობულეთის მუნიციპალიტეტი	29 115.6	19 296.5
4	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი	19 930.3	13 208.9
5	ქედის მუნიციპალიტეტი	16 290.8	10 796.9
6	შუახევის მუნიციპალიტეტი	6 412.4	4 249.8
7	ხულოს მუნიციპალიტეტი	6 759.0	4 479.5
8	ახმეტის მუნიციპალიტეტი	19 063.8	12 634.6
9	გურჯაანის მუნიციპალიტეტი	23 396.4	15 506.1
10	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი	6 412.4	4 249.8
11	თელავის მუნიციპალიტეტი	24 609.6	16 310.1
12	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი	18 023.9	11 945.5
13	საგარეჯოს მუნიციპალიტეტი	24 436.3	16 195.3
14	სიღნაღის მუნიციპალიტეტი	11 784.9	7 810.5
15	ყვარელის მუნიციპალიტეტი	12 824.7	8 499.6
16	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტი	60 310.8	39 971.3
17	ჭიათურის მუნიციპალიტეტი	20 103.6	13 323.8
18	ტყიბულის მუნიციპალიტეტი	9 012.0	5 972.7
19	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	23 223.1	15 391.3

N	დასახელება	მუნიციპალიტეტებში 2024 წელს გასანაწილებელი დამატებული ღირებულების გადასახადი	
		2024 წლის პროგნოზი	2024 წლის 8 თვის ფაქტი
20	ბაღდათის მუნიციპალიტეტი	9 705.2	6 432.2
21	ვანის მუნიციპალიტეტი	10 051.8	6 661.9
22	ზესტაფონის მუნიციპალიტეტი	23 223.1	15 391.3
23	თერჯოლის მუნიციპალიტეტი	14 037.9	9 303.7
24	სამტრედიის მუნიციპალიტეტი	19 237.1	12 749.5
25	საჩხერის მუნიციპალიტეტი	20 796.8	13 783.2
26	ხარაგაულის მუნიციპალიტეტი	9 358.6	6 202.4
27	ხონის მუნიციპალიტეტი	9 705.2	6 432.2
28	ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი	10 745.0	7 121.3
29	ზუგდიდის მუნიციპალიტეტი	41 940.3	27 796.1
30	აბაშის მუნიციპალიტეტი	8 838.7	5 857.9
31	მარტვილის მუნიციპალიტეტი	14 037.9	9 303.7
32	მესტიის მუნიციპალიტეტი	10 398.4	6 891.6
33	სენაკის მუნიციპალიტეტი	15 944.2	10 567.1
34	ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი	9 531.9	6 317.3
35	წალენჯიხის მუნიციპალიტეტი	10 918.3	7 236.2
36	ხობის მუნიციპალიტეტი	10 225.1	6 776.7
37	გორის მუნიციპალიტეტი	59 790.9	39 626.7
38	ქარელის მუნიციპალიტეტი	18 197.2	12 060.3
39	კასპის მუნიციპალიტეტი	18 023.9	11 945.5
40	ხაშურის მუნიციპალიტეტი	22 876.5	15 161.5
41	ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტი	51 645.5	34 228.3
42	ბოლნისის მუნიციპალიტეტი	6 412.4	4 249.8
43	გარდაბნის მუნიციპალიტეტი	6 412.4	4 249.8
44	დმანისის მუნიციპალიტეტი	15 597.6	10 337.4
45	თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი	13 691.2	9 073.9
46	მარნეულის მუნიციპალიტეტი	36 394.4	24 120.6
47	წალკის მუნიციპალიტეტი	6 412.4	4 249.8
48	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი	12 824.7	8 499.6
49	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი	25 129.5	16 654.7
50	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი	9 185.3	6 087.6
51	ბორჯომის მუნიციპალიტეტი	6 412.4	4 249.8
52	ადიგენის მუნიციპალიტეტი	13 517.9	8 959.1
53	ასპინძის მუნიციპალიტეტი	6 412.4	4 249.8
54	ახალქალაქის მუნიციპალიტეტი	6 412.4	4 249.8
55	ახალციხის მუნიციპალიტეტი	23 223.1	15 391.3
56	ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი	8 838.7	5 857.9
57	დუშეთის მუნიციპალიტეტი	14 904.4	9 878.0
58	თიანეთის მუნიციპალიტეტი	9 878.5	6 547.0
59	მცხეთის მუნიციპალიტეტი	12 824.7	8 499.6
60	ყაზბეგის მუნიციპალიტეტი	5 892.4	3 905.2

N	დასახელება	მუნიციპალიტეტებში 2024 წელს გასანაწილებელი დამატებული ღირებულების გადასახადი	
		2024 წლის პროგნოზი	2024 წლის 8 თვის ფაქტი
61	ამბროლაურის მუნიციპალიტეტი	11 264.9	7 465.9
62	ლენტეხის მუნიციპალიტეტი	6 759.0	4 479.5
63	ონის მუნიციპალიტეტი	7 798.8	5 168.7
64	ცაგერის მუნიციპალიტეტი	10 051.8	6 661.9
ჯამი		**1 733 069.0**	**1 148 601.2**

სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ფონდების შესრულება

საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გაწეულმა საკასო შესრულებამ შეადგინა 32 110.9 ათასი ლარი;

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი ასიგნების საკასო შესრულებამ შეადგინა 404 753.6 ათასი ლარი;

მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან გამოყოფილი ასიგნების საკასო შესრულებამ შეადგინა 6 171.3 ათასი ლარი;

წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან მიიმართა 4 320.9 ათასი ლარი, მათ შორის შესაბამისი სააღსრულებო ბიუროების საინკასო დავალებებით, სახაზინო სამსახურის ანგარიშებიდან წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვაზე სასამართლო გადაწყვეტილებებით დაკისრებული თანხების სახით ავტომატურ რეჟიმში, იძულების წესით ჩამოჭრილი იქნა 4 132.1 ათასი ლარი (ფიზიკური პირების სასარგებლოდ 3 360.7 ათასი ლარი, ხოლო იურიდიული პირების სასარგებლოდ – 771.4 ათასი ლარი).

სახელმწიფო ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებული ნაშთი

2024 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით სახელმწიფო ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა (ოპერატიული) შეადგინა 1 985 422.4 ათასი ლარი.

2024 წლის 8 თვის შესრულების მაჩვენებლები სახელმწიფო ბიუჯეტის მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით

მლნ ლარი

კოდი	დასახელება	2024 წლის დაზუსტებული გეგმა (01.09.2024 მდგომარეობით)	გადახდა	%
	სულ ჯამი	**25,030.4**	**16,272.3**	**65.0%**
01 00	საქართველოს პარლამენტი და მასთან არსებული ორგანიზაციები	86.6	49.2	56.8%
02 00	საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია	9.6	6.3	65.9%
03 00	საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატი	0.9	0.5	57.0%
04 00	საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია	37.4	25.1	67.0%
05 00	სახელმწიფო აუდიტის სამსახური	23.3	14.2	61.1%
06 00	საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია	184.2	101.7	55.2%
07 00	საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო	6.2	3.4	55.0%
08 00	საქართველოს უზენაესი სასამართლო	17.4	10.7	61.3%
09 00	საერთო სასამართლოები	137.5	68.9	50.1%
10 00	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო	10.6	3.7	35.5%
11 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში	1.4	0.8	57.7%
12 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში	1.1	0.6	55.1%
13 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ბაღდათის, ვანის, ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის, საჩხერის, ტყიბულის, წყალტუბოს, ჭიათურის, ხარაგაულის, ხონის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში	1.4	0.9	65.4%
14 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღისა და ყვარლის მუნიციპალიტეტებში	1.2	0.7	59.7%
15 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია დუშეთის, თიანეთის, მცხეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში	1.1	0.6	54.8%
16 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ამბროლაურის, ლენტეხის, ონისა და ცაგერის მუნიციპალიტეტებში	1.2	0.8	66.5%
17 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში	1.1	0.7	63.0%
18 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრი წყაროს, მარნეულის, წალკის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში	1.5	0.8	57.6%
19 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში	1.1	0.6	56.9%
20 00	საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური	210.0	129.9	61.9%
21 00	საქართველოს პროკურატურა	63.3	37.0	58.5%

კოდი	დასახელება	2024 წლის დაზუსტებული გეგმა (01.09.2024 მდგომარეობით)	გადახდა	%
22 00	შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	4.6	3.0	65.7%
23 00	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	125.6	72.0	57.3%
24 00	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	805.6	365.6	45.4%
25 00	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	3,400.7	2,185.8	64.3%
26 00	საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	414.9	267.9	64.6%
27 00	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	7,829.2	5,273.7	67.4%
28 00	საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო	189.9	128.1	67.4%
29 00	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო	1,380.0	997.0	72.2%
30 00	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	1,260.0	838.3	66.5%
31 00	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	693.0	424.5	61.3%
32 00	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო	2,508.0	1,629.4	65.0%
33 00	საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო	479.5	338.0	70.5%
34 00	საქართველოს დაზვერვის სამსახური	21.0	13.3	63.4%
35 00	სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურო	1.9	1.3	66.0%
36 00	სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური	12.5	8.0	64.0%
37 00	სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური	19.0	12.1	63.8%
38 00	სსიპ – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური	4.0	1.5	37.7%
39 00	პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური	8.0	4.1	51.3%
40 00	საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური	103.0	60.1	58.3%
41 00	საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი	11.5	5.4	46.7%
42 00	სსიპ – საზოგადოებრივი მაუწყებელი	101.2	75.7	74.8%
43 00	სსიპ - საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო	5.5	2.8	50.3%
44 00	ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაცია - სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია	3.3	2.2	67.7%
45 00	საქართველოს საპატრიარქო	25.0	18.8	75.3%
46 00	სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო	15.0	9.8	65.1%
47 00	სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური – საქსტატი	24.0	11.3	46.9%
48 00	სსიპ - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია	5.3	3.4	64.8%
49 00	საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა	2.2	2.1	94.1%
50 00	სსიპ - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო	7.5	5.7	76.2%
51 00	სპეციალური საგამოძიებო სამსახური	18.0	7.6	42.4%
52 00	სსიპ - სახელმწიფო ენის დეპარტამენტი	1.1	0.6	57.1%
53 00	სსიპ - საჯარო და კერძო თანამშრომლობის სააგენტო	0.6	0.2	33.8%

კოდი	დასახელება	2024 წლის დაზუსტებული გეგმა (01.09.2024 მდგომარეობით)	გადახდა	%
54 00	ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატი	4.8	2.3	48.3%
55 00	სსიპ - ანტიკორუფციული ბიურო	8.5	3.0	34.8%
56 00	საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები	4,738.5	3,039.2	64.1%
57 00	სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი	0.0	1.2	
58 00	ა(ა)იპ - ათასწლეულის ფონდი	0.0	0.1	
59 00	ა(ა)იპ - მშვიდობის ფონდი უკეთესი მომავლისთვის	0.0	0.1	